

შპს „ჰაივილი_“
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 1 იანვარი - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე

გ. ჯაფარიძე

შპს „ჰაივლი“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
შენიშვნები.....	7



შპს „ჰაივილი“

ს/კ 405511879

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი 31 დეკემბრის პერიოდისთვის

(ეროვნულ ვალუტაში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2024
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		8775	7655
სულ გრძელვადიანი აქტივები		8775	7655
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	832480	1677980
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	8	1791439	61465
სხვა აქტივები		3665	8858
სულ მიმდინარე აქტივები		2627584	1,748,303
სულ აქტივები		2,636,359	1,755,958
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		580	580
დაგროვილი ზარალი		2,036,571	1,470,528
სულ საკუთარი კაპიტალი		2,037,151	1,471,108
ვალდებულებები			
გადასახდელი ხელფასები		285,922	134621
სხვა ვალდებულებები		82351	32398
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		230,935	117,831
სულ მიმდინარე ვალდებულებები		599208	284,850
სულ ვალდებულებები		599208	284,850
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,636,359	1,755,958

შპს „ჰაივილი“
ს/კ 405511879

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი 31 დეკემბერი პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

	შენიშვნა	2023 წლის 1 იანვარი 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი 31 დეკემბერი
ამონაგები	6	6,065,873	6,464,254
სულ საოპერაციო ამონაგები		6,065,873	6,464,254
არასაოპერაციო შემოსავალი		37,215	6
ცვეთა/ამორტიზაცია		(2,924)	(3467)
		(3,280,851)	
დასაქმებულთა ანაზღაურება			(1,457,920)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების		0	
გადასახადისა			(0)
თვითღირებულება		(130,042)	(2,393,385)
მივლინების ხარჯები		0	
სხვა ხარჯები		(911,325)	(269,337)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		1,777,946	2,340,150
საპროცენტო შემოსავალი		0	0
წმინდა მოგება/ზარალი საკუთრსო		0	
სხვაობიდან			0
პერიოდის მოგება		1,777,946	2,340,150
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი		2,036,571	
განაწილებული მოგება		2,906,192	
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		1,470,529	

ქ. გოშ

შპს „ჰაივილი“
ს/კ 405511879

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი 31 დეკემბრის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი მდგომარეობით	-	56,435	56,435
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი			
2023 წლის მოგება	-	2,324,409	1,980,135
განაწილებული დივიდენდი		(344,274)	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	580		580
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	580	2,036,570	2,037,150

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარი მდგომარეობით	580	2,036,570	2,037,150
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი			
2024 წლის მოგება	-	2,340,149	566,042
განაწილებული დივიდენდი		(2,906,292)	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	580		0
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	580	1,470,528	1,471,108

Handwritten signature

შპს „ჰაივილი“

ს/კ 405511879

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი 31 დეკემბრის პერიოდისთვის

(ეროვნულ ვალუტაში)

ფულადი ნაკადების უწყისი	31 დეკემბერი 2024
შემოსავალი	6,760,115
საოპერაციო შემოსავალი	6,757,320
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	0
ხაზინიდან დაბრუნება	2795
კაპიტალის შენატანი	
გასავალი	(8,490,089)
საბანკო საკომისიო	(3006)
გადასახადების ერთიანი კოდის (ხაზინა) ხარჯი	(2540150)
სოციალური გადასახადის ხარჯი	(158008)
ხელფასების ხარჯი	(3135382)
მივლინების ხარჯი	(0)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(0)
საკონსულტაციო მომსახურება	(0)
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	(35400)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(0)
საწვავის ხარჯი	(45000)
სხვა საერთო ხარჯი	(176767)
იჯარა	(49626)
გაცემული დივიდენდი	(2346750)
კონვერტაციის გავლენა	0

ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში

1,791,439

ფულადი სახსრები პერიოდის

(1,729,974)

განმავლობაში

ფულადი სახსრები პერიოდის
ბოლოს

61465

შპს ჰაივილიფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 1 იანვარი 31 დეკემბრის პერიოდზე**შესავალი****1. კომპანია და მისი საქმიანობა**

შპს ჰაივილი (შემდგომში – კომპანია) (ს/კ405511879) დაფუძნდა **2022 წლის 10 მარტს** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით გამრეკელის ქუჩა, კორპუსი 2, ბინა 5

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა -მათი მომსახურება პერსონალით.

დაარსების დღიდან (10.03.2022) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100 %-ის მფლობელია მანანა კონჭოშვილი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**მომზადების საფუძვლები****განცხადება შესაბამისობაზე :**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების **(მსს ფასს) შესაბამისად**. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის გამოყენების თარიღი არის **2022 წლის 10 მარტი** . კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის და მეოთხე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას **2024 წლის 1 იანვრის დასაწყისისთვის და 31 დეკემბრის დასასრულისთვის, აღნიშნული პერიოდის სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.**

ფუნქციონირებადი საწარმო :

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა უნარი გააგრძელოს საქმიანობა ,როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და

დააკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო :

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. საქართველოს განვითარებად ბაზარს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, როგორც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს მომსახურების საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ მომსახურების ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

შენიშვნა N6_ ამონაგები

მოცემულ საოპერაციო პერიოდში შპს ჰაივილის საოპერაციო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს შპს ფერისთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა .

ამონაგები	6	6,464,254
სულ საოპერაციო ამონაგები		<u>6,464,254</u>

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მომსახურების მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

	31.12.2024
კურსთაშორისი სხვაობა	0
არასაოპერაციო შემოსავალი (საპროცენტო შემოსავალი)	0
სულ	0

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

შენიშვნა N8_ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აშშ დოლარში	0
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ევროში	0
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ლარი	61465
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შვეიცარული ფრანკი	0
სულ	61465.00

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს წამყვან კომერციულ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს.

შენიშვნა N7_სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებასთან იყო მიახლოებული მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო. პერიოდის ბოლოს შპს ფერისთან გაფორმებული ახურების ხელშეკრულების მიხედვით გაწეული მომსახურების ნაშთი შეადგენს 1677980 ლარს .

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დასაქმებულთა გასამრჯელოები	(1,457,920)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(3,467)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(2,393,385)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(0)
იჯარის ხარჯი	(0)
მივლინების ხარჯები	(0)
სხვა ხარჯები	(269,337)
საოპერაციო ხარჯები	4,124,109

კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 2024 წლის, 31 დეკემბრის შემდეგ, პარტნიორის გადაწყვეტილებით კაპიტალის გაზრდა/ შემცირება არ მომხდარა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2025 წლის 15 თებერვალს .

დირექტორი :

მანანა კონჭოშვილი

